ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 06.03.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე,შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ივანე მამფორია.**
მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის,იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **მარინა ღვინიანიძე**
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის,იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{30} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხს: ტარიელ ბარამიძე

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ".

მომხს:ივანე მამფორია

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გიორგი ივანიაძე

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

6.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

7.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

8.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

9.,,ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

10.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

11.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

12.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მარინა ღვინიანიძე

13. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

14. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების" (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

15. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხს: მიხეილ სვანაძე

16. სხვადასხვა

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;"

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა (შემდგომში - საკრებულოს წევრი), შეიძლება აუნაზღაურდეს შემდეგი სახის ხარჯები: საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგითი სხდომების მუშაობაში მონაწილეობისათვის, ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისათვის, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულებისათვის (მათ შორის: საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგგარეშე სხდომების, ასევე საკრებულოს ფრაქციების და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის), საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15 %-ს და შეადგენს თვეში 447 ლარს. მათ შორის:

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგითი სხდომების მუშაობაში მონაწილეობისათვის- 250 ლარი. ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისათვის -100 ლარი.საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულებისათვის (მათ შორის: საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგგარეშე სხდომების, ასევე საკრებულოს ფრაქციების და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის)- 97 ლარი.

ასევე საკრებულოს წევრს არასაპატიო მიზეზით საკრებულოს რიგითი სხდომის გაცდენისათვის არ მიეცემა ხარჯი 150 ლარის ოდენობით, ხოლო არასაპატიო მიზეზით საკრებულოს კომისიის

რიგითი სხდომის გაცდენისათვის - 50 ლარის ოდენობით. საკრებულოს წევრი ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა საკრებულოს აპარატში წარადგინოს ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს მინიმუმ სამი ამომრჩეველი.საკრებულოს წევრს ამომრჩევლებთან ჩატარებული თითოეული შეხვედრისათვის მიეცემა ხარჯების ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 100 ლარისა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ."

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

(დანართი: დადგენილება N82)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხზე მომხსენებელმა ვანო მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამების, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.
წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ".

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილებების წესის დამტკიცების შესახებ".

(დანართი: დადგენილება N83)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხზე მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი .,,ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელს პირს/პირებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე.

ამ დებულებაში შევიდა 9 ცვლილება. ეს ცვლილებები ზოგი ტექნიკური ხასიათისაა. გამგეობა შეიცვალა მერიით და გამგებელი მერით. ასევე ვებგვერდის განყოფილება „საზოგადოება"-ს დაემატა გენდერული თანასწორობის საბჭო (შემადგენლობა, დებულება და სხდომების ოქმები);

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N84)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხზე მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი .,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე." მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა,რომ ,,საკანონმდებლო მაცნე"-დან იღებული იქნა შენიშვნები, რომელიც გაითვალისწინეს და შეიტანეს ცვლილება წარმოდგენილ დებულებაში. კერძოდ, . დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.

დანართის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადადგილებულ პირთა პრობლემების დარეგულირება, მათი სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა."

დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის ფუნქციებია ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების განხორციელების კუთხით:"

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს .,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

(დანართი: დადგენილება N85)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხზე მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა მოკლედ გააცნო ბიუროს წევრებს ცვლილებების შესახებ:

დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.

დანართის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით."

დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები და კარიერული განვითარება განისაზღვრება მერიის დებულებით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N86)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა წარმოადგინა ამ დადგენილების ცვლილებები:

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"

დადგენილების 1-ლი მუხლი შემდეგი რედაქციით:

დამტკიცდეს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება" დანართი N1-ის შესაბამისად."

დანართის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

დანართის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები და კარიერული განვითარება განისაზღვრება მერიის დებულებით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად."

დანართის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N87)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა წარმოადგინა ამ დადგენილების ცვლილებები:

დანართის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით."

დანართის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინპექტირების

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N88)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა წარმოადგინა ამ დადგენილების ცვლილებები:

დანართის 1-ლი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნას.

დანართის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით."

დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ დადგენილი წესით ისარგებლოს შვებულებით პროფესიული განვითარებისათვის."

დანართის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ."ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N89)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, სამსახურის დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით.

სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N90)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

დანართის 1-ლი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნას.

დანართის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით."

დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, დადგენილი წესით ისარგებლოს შვებულებით პროფესიული განვითარებისათვის."

დანართის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

,,სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N91)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთერთმეტე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით."

დანართის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები და კარიერული განვითარება განისაზღვრება მერიის დებულებით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად."

დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით.

სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N92)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთორმეტე საკითხთან მომხსენებელმა მარინა ღვინიანიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა წარმოადგინა ცვლილებები ამ დებულებაში:

დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება."

დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები და კარიერული განვითარება განისაზღვრება მერიის დებულებით „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად."

დანართის მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ფუნქციები"

დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით.

სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N93)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცამეტე საკითხთან მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

მოხსენებელმა წარმოადგინა დანართის სახით იმ შენობა -ნაგებობების სია, სადაც შესაძლებელია განთავსდეს საარჩევნო-სააგიტაციო მასალები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

(დანართი: განკარგულება 27/29)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთოთხმეტე საკითხთან მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების" (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოხსენებელმა მოკლედ აღნიშნა,რომ ძირითადი ცვლილება დებულებაში არის ტექნიკური ხასიათის. კერძოდ, გამგეობა შეიცვალე მერიით და გამგებელი მერით. ასევე დებულებაში დაემატა ამ სამსახურის შექმნის დრო და თარიღი, რაც ამ დრომდე არ ყოფილა მითითებული.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების" (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,, ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების" (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება 27/30)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთხუთმეტე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე.''

მოხსენებელმა აღნიშნა ,რომ ძირითადი ცვლილება დებულებაში არის შემდეგი:

სტიქიით დაზარალებულებს მიეცემათ დახმარება არაუმეტესს 2000 ლარი.

ხანძრით შედეგად დაზარალებულებს არაუმეტესს 3000 ლარი.

ასევე ხანძრის შედეგად დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა ან ID ბარათი, შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა/შუამდგომლობა და საბანკო რეკვიზიტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების" (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 13 განკარგულებით დამტკიცებულ ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე.''

(დანართი: განკარგულება 27/31)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ,,სხვადასხვა" მომხსენებელმა, ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანამათლებლო პროექტის - ,,ფოტოგამოფენა საგანძური" ს შესახებ და განმარტა, რომ ფოტოგამოფენა ,,საგანძური" შექმნა 2008 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II -ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიაქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის დაფინანსებით ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობით.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანამათლებლო პროექტის - ,,ფოტოგამოფენა საგანძური" ს განხორციელებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე